განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ

სსიპ - ონის მუნიციპალიტეტის სოფელ უწერის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ლიანა კობესაშვილი
წევრ(ებ)ი:
სოფიკო ანთაური

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

[1] **შ ე ნ ი შ ვ ნ ა :** ა დ მ ი ნ ი ს ტ რ ა ც ი უ ლ ი წ ა რ მ ო ე ბ ი ს მ ი ზ ნ ე ბ ი დ ა ნ და შ ე ს ა ბ ა მ ი ს ბ რ ძ ა ნ ე ბ ა შ ი გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ი შ ე მ ო წ მ ე ბ ი ს ფ ა რ გ ლ ე ბ ი დ ა ნ გ ა მ ო მ დ ი ნ ა რ ე , შ ე ს ა ძ ლ ო ა დ ა ს კ ვ ნ ი ს ფ ო რ მ ი ს ყ ვ ე ლ ა ვ ე ლ ი ა რ შ ე ი ვ ს ო ს ა ნ დ ა ს კ ვ ნ ა დ ა ი წ ე რ ო ს თ ხ რ ო ბ ი თ ი ს ა ხ ი თ.

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ონის მუნიციპალიტეტის სოფელ უწერის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	237981190

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ონი
ფაქტობრივი მისამართი	ონის მუნიციპალიტეტი სოფელი უწერა
საფოსტო ინდექსი	3600
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://tinyurl.cx/tunZb
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Utsera@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	551093806

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 06/03/2026წლის ბრძანება MES 0260000281484
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	----------

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება განხორციელდა დაწესებულების მიერ სსიპ - ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელიც დაწესებულების გადაწყვეტილებით უზრუნველყოფდა ბრძანებით განსაზღვრული ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასებას. შეფასების პროცესში ექსპერტთა ჯგუფმა დაამუშავა წარმოდგენილი მასალები, გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია და პროცესის დამადასტურებელი მტკიცებულებები სკოლიდან. წარმოდგენილი და დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაციის ერთობლივი ანალიზის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა შეფასება, რომლის შედეგებიც ასახულია წინამდებარე დასკვნაში.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
50	**18**

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ - ონის მუნიციპალიტეტის სოფელ უწერის საჯარო სკოლამ, 15/04/2026 წლის MES 4 26 0000434947 წერილით, წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა დასკვნის პროექტში მითითებულ ხარვეზებთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის პოზიცია; სკოლის პოზიცია ვერ იქნა გაზიარებული.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☒ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N1.2.1.1.	სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს	1. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს ოქმით. პედაგოგიური საბჭოს ფუნქციებში, საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ, მსგავსი დოკუმენტის დამტკიცება არ შედის. 2. მეთოდოლოგიის მიხედვით სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს ამტკიცებს სკოლის დირექტორი რაც შეუსაბამოა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს N785 - ე ბრძანებასთან „საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობების დამტკიცების შესახებ.
ინდიკატორი N1.2.1.2.	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს	1. სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს N785 - ე ბრძანებასთან „საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობების დამტკიცების შესახებ 2.სკოლის სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრული სტრატეგიული მიზანი წარმოდგენილია მხოლოდ ერთი ამოცანით, რაც ხელს უშლის ეფექტიანი დაგეგმვისა და შედეგების სრულფასოვან შეფასებას (დეტალურად იხ. ინდიკატორის აღწერა)
ინდიკატორი N1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას	სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს N785 - ე ბრძანებასთან „საჯარო სკოლის დირექტორსა

		და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობების დამტკიცების შესახებ“
ინდიკატორი N1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია	სკოლის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში არ არის განსაზღვრული ამოცანები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და რესურსები რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

[2] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

რეკომენდაცია პირველ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტების მხრიდან წინა ვიზიტის ფარგლებში არ გაცემულა

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მისიისა და ხედვის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ იგი შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. კერძოდ, მისია ორიენტირებულია ისეთი პიროვნების ჩამოყალიბებაზე, რომელიც არის შემოქმედი, კრიტიკულად მოაზროვნე, კომუნიკაბელური და პასუხისმგებლიანი მოქალაქე, რაც სრულ თანხვედრაშია ეროვნული მიზნების ერთ-ერთ ძირითად პრინციპთან თავისუფალი, აქტიური და დემოკრატიული საზოგადოების წევრის აღზრდასთან. ასევე, აქცენტი გაკეთებულია მოსწავლეთა ზნეობრივ, სულიერ და ფიზიკურ განვითარებაზე, რაც წარმოადგენს ჰოლისტური განათლების მნიშვნელოვან კომპონენტს. ხედვაში ასახულია სკოლის, როგორც თემში კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის როლი, უსაფრთხო და მხარდამჭერი გარემოს შექმნა, მოსწავლეთა პოტენციალის მაქსიმალური რეალიზაცია და მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. აღნიშნული მიმართულებები შეესაბამება ეროვნული სასწავლო მიზნების იმ პრინციპებს, რომლებიც გულისხმობს მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას, მათი შესაძლებლობების გამოვლენასა და რეალურ ცხოვრებაში ინტეგრაციას. ამასთანავე, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობის აქცენტი მიუთითებს განათლების პრაქტიკულობაზე და მის კავშირზე თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ მოთხოვნებთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მისიისა და ხედვის ანალიზი ცხადყოფს, რომ დაწესებულება მკაფიოდ განსაზღვრავს საკუთარ სოციოკულტურულ როლს. კერძოდ, მისია ორიენტირებულია არა მხოლოდ აკადემიური ცოდნის გადაცემაზე, არამედ ისეთი ღირებულებებისა და უნარების განვითარებაზე, რომლებიც აუცილებელია საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებისთვის. ეს მიუთითებს სკოლის პასუხისმგებლობაზე, ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სამოქალაქო ცნობიერების, სოციალური პასუხისმგებლობისა და კულტურული თვითშეგნების განვითარებას. ამასთანავე, ხედვაში სკოლა თავის თავს განიხილავს როგორც კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრს, რაც კიდევ უფრო ამყარებს მის სოციოკულტურულ ფუნქციას. დაწესებულება თავის თავს ხედავს როგორც უსაფრთხო და მხარდამჭერ გარემოს, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ინდივიდუალურ და საზოგადოებრივი განვითარების პროცესს. ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სკოლის მისია და ხედვა ნათლად ასახავს და განსაზღვრავს დაწესებულების სოციოკულტურულ როლს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლამ წარმოადგინა 2023 წლის 14 ივნისის N MES 5 23 0000687013 ბრძანება, რომლითაც დასტურდება, რომ დირექტორის მიერ შექმნილია სამუშაო ჯგუფი, შემდგარი სკოლის დირექციის, მასწავლებლების, სამეურვეო საბჭოს წარმომადგენლების (მათ შორის მშობლის) და მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრისგან. აღნიშნულ ჯგუფს დაევალა სკოლის ფილოსოფიის, შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება. ასეთი წარმომადგენლობითი ჯგუფის ჩართულობა ფილოსოფიის შემუშავების პროცესში უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა მხარის ინტერესების გათვალისწინებას და ადასტურებს, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მონაწილეობით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლის მისია და ხედვა გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მიერ. კერძოდ, დაწესებულებამ წარმოადგინა საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეთა სხდომის N1

ოქმი (2023 წლის 4 სექტემბერი), რომლის მიხედვითაც სკოლის დირექტორმა მოსწავლეებს გააცნო სკოლის ფილოსოფიის პროექტი (მისია და ხედვა). აღნიშნული ოქმით დასტურდება, რომ მოსწავლეებმა გაიზიარეს წარმოდგენილი ხედვები და დადებითად შეაფასეს იგი. ამასთანავე, სკოლამ წარმოადგინა დაწყებითი კლასების მშობელთა კრების ოქმი N1 (2023 წლის 4 სექტემბერი), რომლის თანახმადაც სკოლის დირექტორმა მშობლებს გააცნო სკოლის ფილოსოფიის პროექტი. წარმოდგენილი ოქმი ადასტურებს, რომ მშობლების მხრიდან აღნიშნული პროექტი მოწონებული იქნა. ზემოაღნიშნული მტკიცებულებების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ სკოლის მისია და ხედვა გაზიარებულია როგორც მოსწავლეებთან, ასევე მშობლებთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი. ის განთავსებულია სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე https://tinyurl.cx/tunZb

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება სსიპ - ონის მუნიციპალიტეტის სოფელ უწერის საჯარო სკოლა შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს სკოლა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023 წლის 14 ივნისის N MES 5 23 0000687013 ბრძანება;
- მოსწავლეთა სხდომის N1 ოქმი (2023 წლის 4 სექტემბერი);
- დაწყებითი კლასების მშობელთა კრების ოქმი N1 (2023 წლის 4 სექტემბერი).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომლის დამტკიცება განხორციელებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ 2023 წლის 4 სექტემბერს (ოქმი N 5, საკითხი3. სსიპ ონის მუნიციპალიტეტის სოფელ უწერის საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის განხილვა დამტკიცება. შესაბამისი დადგენილება: დამტკიცდეს სსიპ ონის მუნიციპალიტეტის სოფელ უწერის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი დანართი N 2- ის შესაბამისად). აღნიშნული დოკუმენტი მოგვიანებით, 2023 წლის 14 სექტემბერს დამტკიცდა სკოლის დირექტორის შესაბამისი ბრძანებით (ბრძანება N02-29). აღნიშნული დოკუმენტების ანალიზით იკვეთება, რომ დირექტორის მიერ ხდება პედაგოგიური საბჭოს მიერ უკვე დამტკიცებული დოკუმენტის განმეორებითი დამტკიცება, რაც მიუთითებს პროცედურულ დუბლირებაზე, ამასთან პედაგოგიური საბჭოს ფუნქციებში მსგავსი დოკუმენტის დამტკიცება მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით არ განიხილება.

სკოლის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესში ჩართული არიან სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები: სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებელი, მოსწავლე/მოსწავლეთა თვითმმართველობა, მშობელი. სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო პროცესში მსგავსი წარმომადგენლობითი ჯგუფის მუშაობა ადასტურებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმების არსებობას.

მეთოდოლოგიის მიხედვით (თავი 10) სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების ბოლო ეტაპია „სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცება დირექტორის მიერ და გაზიარება სასკოლო საზოგადოებისათვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის“. აღნიშნული ჩანაწერი შეუსაბამოა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს N785 - ე ბრძანებასთან

„საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობების დამტკიცების შესახებ, რომლის მიხედვითაც სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს ამტკიცებს სამეურვეო საბჭო და ამასთან უნდა მოხდეს უკვე გაზიარებული გეგმების დამტკიცება, დამტკიცების შემდგომ კი გასაჯაროება.

ხარვეზი.

1. **სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს ოქმით. პედაგოგიური საბჭოს ფუნქციებში, საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ, მსგავსი დოკუმენტის დამტკიცება არ შედის.**
2. **მეთოდოლოგიის მიხედვით სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს ამტკიცებს სკოლის დირექტორი რაც შეუსაბამოა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს N785 - ე ბრძანებასთან „საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობების დამტკიცების შესახებ.**

აღნიშნულ ხარვეზებთან მიმართებით სკოლამ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრა შემდეგი აქტივობები:
1.სკოლის დირექტორის მ/შ სამუშაო ჯგუფს გადასცემს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პროექტს განსახილველად (08.04.2026-08.04.2026 წწ).
2. სამუშაო ჯგუფი განიხილავს და დირექტორის მ/შ-ს წარუდგენს შესწორებულ გეგმას (08.04.2026-01.07.2026 წწ).
3. დირექტორის მ/შ განიხილავს და სამეურვეო საბჭოს წარუდგენს დასამტკიცებლად სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიასა და სამოქმედო გეგმებს(01.07.2026-03.07.2026 წწ).

ექსპერტთა ჯგუფმა ვერ გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია აღნიშნულ ხარვეზებთან დაკავშირებით, ვინაიდან მიიჩნია, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული აქტივობები ვერ უზრუნველყოფს იმ ხარვეზის აღმოფხვრას, რომელიც უკავშირდება სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში არსებული ჩანაწერის დაკონკრეტებასა და მის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრას. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცება არ წარმოადგენს სამეურვეო საბჭოს ფუნქციას. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ სკოლის დირექტორი არგუმენტირებულ პოზიციაში მითითებულია როგორც მოვალეობის შემსრულებელი, ექსპერტთა ჯგუფმა დასაშვებად მიიჩნია, რომ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში არსებული ჩანაწერი, რომელიც ეხება სტრატეგიული გეგმის დამტკიცებაზე უფლებამოსილ პირს, შესაძლებელია არ ჩაითვალოს დარღვევად, თუმცა აღნიშნულ შემთხვევაში აუცილებელია, რომ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში მკაფიოდ განისაზღვროს, თუ ვინ ამტკიცებს სტრატეგიული განვითარების გეგმას დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის შემთხვევაში და ვინ არჩეული დირექტორის შემთხვევაში.

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულია სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ 2023 წლის 7 სექტემბერს. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი (2023-2030 წწ). ის ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს. ექსპერტთა ყურადღება მიიქცია მე-5 მიზანმა "პროფესიული განათლების ხელშეწყობა", რომელიც ერთი ამოცანით არის წარმოდგენილი - "სრულ ზოგად განათლებასთან ერთად მოსწავლეებისათვის სახელობო სწავლების შეთავაზება". გამომდინარე იქიდან, რომ სტრატეგიული მიზანი წარმოადგენს ფართო და გრძელვადიან შედეგს, ხოლო ამოცანები არის მისი მიღწევის კონკრეტული გზები, მიზანი უნდა იშლებოდეს რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ ამოცანად, რომელთა თანამიმდევრული განხორციელება უზრუნველყოფს სტრატეგიული მიზნის ეფექტიანად მიღწევას.
"სტრატეგიული დაგეგმარების" მეთოდოლოგიის მიხედვით სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მიეკუთვნება სკოლაში მიმდინარე ძირითადი პროცესების რიცხვს, რომელიც ხორციელდება 7 წელიწადში ერთხელ რაც ადასტურებს სტრატეგიული გეგმის ციკლურობას.

ხარვეზი. 1. სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ მიერ რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს N785 - ე ბრძანებასთან „საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობების დამტკიცების შესახებ.

2.სკოლის სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრული სტრატეგიული მიზანი წარმოდგენილია მხოლოდ ერთი ამოცანით, რაც ხელს უშლის ეფექტიანი დაგეგმვისა და შედეგების სრულფასოვანი შეფასებას.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც ხარვეზის აღმოსაფხვრელად დაგეგმა შემდეგი აქტივობები:

1. სკოლის დირექტორის მ/შ სამუშაო ჯგუფს გადასცემს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პროექტს განსახილველად (08.04.2026)

2. სამუშაო ჯგუფი **განიხილავს და დირექტორის მ/შ-ს წარუდგენს შესწორებულ გეგმას (08.04.2026-01.07.2026 წწ)**

3. დირექტორის მ/შ განიხილავს და სამეურვეო საბჭოს წარუდგენს დასამტკიცებლად სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიასა და სამოქმედო გეგმებს (01.07.2026-03.07.2026 წწ).

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა სკოლის მიერ წარმოდგენილ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობები და ვერ გაიზიარა ის. ხარვეზი გამოწვეული იყო სტრატეგიული გეგმის არაუფლებამოსილი პირის/სტრუქტურის მიერ დამტკიცებით და სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ფორმულირებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული

პოზიციის განხილვისას ექსპერტებისთვის გაურკვეველი დარჩა რომელ გეგმას (სამოქმედო/სტრატეგიული) გულისხმობს სკოლა როცა საუბრობს გეგმის შესწორებაზე, მითუმეტეს რომ შემდეგ უკვე სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად სამოქმედო გეგმას და სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიას წარუდგენს. ამასთან სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილებას არ განეკუთვნება სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცება.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის შეფასება კვლავ უცვლელი დარჩა

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

სკოლამ წარმოადგინა 2025-2026 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, დამტკიცებული პედაგოგიური საბჭოს მიერ 2025 წლის 8 სექტემბერს. სკოლის მიერ წამოდგენილი ერთწლინა სამოქმედო გეგმა დაფუძნებულია სტარტეგიულ გეგმაზე.
ხარვეზი. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ მიერ რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს N785 - ე ბრძანებასთან „საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობების დამტკიცების შესახებ“ .

სკოლის მიერ წარმოდგენილ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრულია შემდეგი აქტივობები:

1. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი სამუშაო ჯგუფს გადასცემს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პროექტს განსახილველად (08.04.2026).

2.სამუშაო ჯგუფი განიხილავს და დირექტორის მ/შ-ს წარუდგენს შესწორებულ გეგმას. გაუწევს მონიტორინგს ერთწლიან სასკოლო სასწავლო გეგმას, შედეგების ანალიზს წარუდგენს დირექტორს. (08.04.2026-02.09.2026წწ).

3.დირექტორი განიხილავს სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილ ანგარიშს და ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტს, რომელსაც განიხილავს პედაგოგიურ საბჭოსთან, ათანხმებს სამეურვეო საბჭოსთან და ამტკიცებს. 02.09.2026 წ

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია აღნიშნულ ხარვეზთან დაკავშირებით. იმის გათვალისწინებით, რომ N785-ე ბრძანება - „საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობების დამტკიცების შესახებ“ განსაზღვრავს საჯარო სკოლის არჩეული დირექტორის ვალდებულებებს, დასაშვებად იქნა მიჩნეული სკოლის პოზიცია, რომლის მიხედვითაც ერთწლიან სამოქმედო გეგმას ამტკიცებს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი და არა სამეურვეო საბჭო. თუმცა დირექტორის მ/შ-ს მიერ სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილ ანგარიშის ანალიზის საფუძველზე ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება ეწინააღმდეგება სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიას რომლის თანახმადაც გეგმაზე უნდა იმუშაოს წარმომადგენლობითმა ჯგუფმა.

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

სკოლის მიერ წარმოდგენილ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია მიზანი, აქტივობის შინაარსი, პასუხისმგებელი პირი, აქტივობების განხორციელების ვადები.

ხარვეზი: სკოლის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში არ არის განსაზღვრული ამოცანები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და რესურსები რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

სტანდარტთან უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით სკოლამ განსაზღვრა აქტოვობები:

1. სკოლის დირექტორის მ/შ სამუშაო ჯგუფს გადასცემს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პროექტს განსახილველად (08.04.2024 წ)

2. სამუშაო ჯგუფი განიხილავს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პროექტს ერთწლიან სასკოლო სასწავლო გეგმისმონიტორინგის ანალიზს წარუდგენს დირექტორის მ/შ-ს. (15.05.2026-02.09.2026 წწ)

3. დირექტორის მ/ შ განიხილავს სამუშაო ჯგუფის მიერ წარდგენილ ანგარიშს, ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს ერთწლიან სამოქმედო გეგმის პროექტს, რომელშიც განსაზღვრული იქნება სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტოვობები გაზომვადი ინდიკატორებით, რომელიც რეალისტურ ვადებში არის შესაძლებელი. განიხილავს პედაგოგიურ საბჭოსთან, ათანხმებს სამეურვეო საბჭოსთან, და ამტკიცებს. (02.09.2026-07.09.2026 წწ)

ექსპერტთა ჯგუფმა ვერ გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, რადგან დირექტორის მიერ გეგმის პროექტის ერთპიროვნულად შემუშავება წინააღმდეგობაში მოდის სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიით განსაზღვრულ

ერთწლიანი გეგმის შემუშავების პროცესთან. ამასთან სკოლის მიერ განსაზღვრული აქტივობების შესასრულებლად განსაზღვრული დროითი ჩარჩო 2026-2027 სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის შემუშავებას განსაზღვრავს ხოლო არსებული ხარვეზი კი წარმოადგენს უკვე დამდგარ გარემოებას.

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2024-2025 და 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმები;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი;
- ბრძანება სტრატეგიული მეთოდოლოგიის დამტკიცებაზე;
- სტრატეგიული გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება იანვარსა და ივნისში, სტრატეგიული გეგმის - სამწლიანი ციკლის დასრულების შემდეგ. მონიტორინგისათვის სკოლა იყენებს ანგარიშგების პრინციპს. სამუშაო ჯგუფის ორგანიზებით გამართულ შეხვედრებზე სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები წარადგენენ ანგარიშებს. სხდომის თავმჯდომარე განიხილავს თითოეულ აქტივობას და მონაწილეთა ჩართულობით ანიჭებს შესაბამის სტატუსს: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“ ან „არ შესრულდა“. შეხვედრები ფორმდება ოქმით.
მონიტორინგის პროცესის დასრულების შემდეგ სკოლა ახორციელებს შეფასებას. სამოქმედო გეგმის შეფასება ხორციელდება სასწავლო წლის ბოლოს, ხოლო სტრატეგიული გეგმის - სამწლიანი ციკლის დასრულებისას. სტრატეგიული გეგმის შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით და წარედგინება დირექტორს. დირექტორი აღნიშნულ ანგარიშს შემდგომში დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლამ წარმოადგინა 2024-2025 სასწავლი წლის ერთწლიანი გეგმის შესრულების ანგარიში თანდართული ფორმით სადაც თითოეულ აქტივობას მიწერილი აქვს შესრულების სტატუსი. წარმოდგენილია ასევე 2025 წლის 30 ივნისის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N5 სადაც განხილულია ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები. ერთწლიანი გეგმის შესრულება, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ეყრდნობა ანგარიშგების პრინციპს, როგორც განსაზღვრულია სკოლის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიით (წარმოდგენილია კლასის დამრიგებლებისა და მასწავლებლების ანგარიშები), სკოლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით სკოლაში განხორციელდა კვლევაც, რომელიც სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე იყო ორიენტირებული, რაც ადასტურებს სასკოლო საზოგადოების/დაინტერესებული მხარეების ჩართულობას და უკუკავშირის გათვალისწინების მექანიზმების არსებობას სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის/შეფასების პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმების ანგარიში საჯაროა, იგი განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლის მიერ წარმოდგენილი 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიშის და 2024-2025 და 2025-2026 სასწავლო წლების სამოქმედო გეგმების შედარების შედეგად გამოიკვეთა რომ იმ აქტივობებს, რომელიც სკოლას შეფასებული აქვს სტატუსით „ნაწილობრივ შერულდა“, სკოლა ისევ უბრუნდება ახალ სასწავლო წელს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ სკოლამ კონკრეტული საკითხები დაარეგულირა, მომდევნო წელს მიღწეულის შენარჩუნებასა და განვითარებაზეა ორიენტირებული. მაგალითად, გარკვეული ინფრასრუქტურული პრობლემები სკოლამ მოაგვარა 2024-2025 სასწავლო წელს და 2025-2026 სასწავლო წელს უკვე ამ ინფრასტრუატურის

მოვლა-პატრონობის აქტივობები აქვს დაგეგმილი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით აღნიშნული ინდიკატორი ფასდება როგორც დაკმაყოფილებული.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2024-2025 სასწავლი წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შეფასების ანგარიში;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- პედაგოგიური საბჭს სხდომის ოქმი;
- 2024-2025 და 2025-2026 სასწავლო წლების ერთწლიანი სამოქმედო გეგმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

თარიღი 17.04.2026 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: